პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით

პარასკევი, 13 ივნისი 1924 წ. წელიწადი მეოთხე ფასი 5 კაპ. ჩერ.

# წითელი არმიელი

№ 523 ქ. მ. დ. პოლიტ-გან-ის ყოველდღ. გაზეთი

რედაქც. მის. ტფ., ჯორჯიაშვილის ქუჩა № 8. საველე ყუთ. 85.
განცხადების ფასი პირველ გვერდზე 40 კაპ.—მეოთხეზე 20 კაპ. ჩერვო ნეც. ნომპარელის სტრიქონი
სამგლოვიარო განცხადება 3 მან. ჩერვ. განცხადებები მორიგ ნომერში მიიღება მხოლოდ 1 საათამდე

## ამერიკა საგონებელში ჩავარდა.

ამერიკის საიმიგრაციო კანონმა, რომლის ძალით იაპონელებს აეკრძალათ ამერიკაში შესვლა, მეტის მეტად აღელვა მთელი იაპონიის საზოგადოებრივი აზრი. ამ ნიადაგზე დღეს იაპონიაში განვითარდა ანტი ამერიკული მოძრაობა, რომელმაც უაღრესად მწვავე შოვინისტური ხასიათი მიიღო. არ დარჩენილა არც ერთი კუთხე იაპონიაში, სადაც არ მომხდარიყოს ამერიკის საწინააღმდეგო დემონსტრაცია. ყოველივე ამერიკელს უცხადებენ ბოიკოტს და ზოგ შემთხვევაშიც იაპონელების აღშფოთება იმ ზომამდეც კი მიდის რომ ისინი სიკვდილითაც ემუქრებიან ამერიკის მთავრობის ოფიციალურ წარმომადგენლებსაც.

დღევანდელი რადიოს გადმოცემით მოახდინეს თავდასხმა ამერიკის ღენერალურ კონსულზე იოკაგამაში. (ქალაქია იაპონიაში). თავს დამსხმელი აღმოჩნდა იაპონელი მუშა, რომელმაც განაცხადა, რომ ის სიცოცხლეს გამოასალმებს კონსულს თუ კი ის არ გააუქმებს საიმიგრაციო კანონის წინააღმდეგო.

როგორც სჩანს იაპონიის მართველ წრეები ენერგიულად მუშაობენ, რათა გააღვივონ შოვინისტური ალი იაპონელებში ამერიკელების წინააღმდეგ. მაგრამ მარტო ამ ხერხით არ კმაყოფილდება ყვითელი იმპერიალიზმი. იაპონიის პრესამ ამ ბოლო ხანებში დაიწყო ლაპარაკი საბჭოთა კავშირთან დაახლოების შესახებ და სახალინიდან თავის ჯარების გაყვანაზე.

ცხადია, რომ ამერიკის მთავრობაზე უფრო იმოქმედებს ეს გარემოება, ვიდრე აღშფოთებულ იაპონიის მასების დემონსტრაციები. როგორც გუშინდელი რადიო იუწყებოდა ამერიკის მთავრობამ დროებით შეაჩერა საიმიგრაციო კანონის ძალაში შესვლა.

ეტყობა იაპონელების მეორე ხერხმა, საბჭოთა კავშირთან დაახლოების შესახებ ლაპარაკმა, მეტად შეაფიქრიანა ამერიკის მთავრობა და იძულებული გახადა დროებით მაინც შეეჩერებინა საიმიგრაციო კანონი.

ამერიკის ბურჟუაზია როგორც სჩანს დიდ ანგარიშს უწევს იაპონიის და საბჭოთა კავშირის შეთანხმების საკითხს, რომელიც შიშის კანკალს იწვევს მასში. ამერიკა ვერ ურიგდება იმ აზრს, რომ იაპონიისა და საბჭოთა კავშირის შორის მოხდეს რაიმე შეთანხმება. ეს ნიშნავდა მისთვის ფაქტიურად შორეულ აღმოსავლეთში ყოველგვარ გავლენის დაკარგვას. ჩვენ კი ვიცით რომ ამერიკის იმპერიალიზმი უმთავრესად დაინტერესებულია ხელთ იგდოს შორეულ აღმოსავლეთის, სახელდობრ ჩინეთის მდიდარი მატერიალური სიმდიდრეები. მშვიდობიანი განწყობილება საბჭოთა კავშირის, ჩინეთის და იაპონიის შორის მას ხელიდან აცლის ამ საშვალებას.

ამერიკის ეს სისუსტე კარგად იცის იაპონიამ და ისიც მოხერხებულად მოქმედობს ამ მხრივ.

თუმცა დღემდის არავითარი რეალური ნაბიჯი ამ მიმართულებით იაპონიას არ გადაუდგამს, მაგრამ ჩვენ სრული დარწმუნებული ვართ, რომ აუცილებლობა აიძულებს მას იცნას საბჭოთა კავშირი, როგორც ეს ქნა ჩინეთმა.

თუ იაპონიას მართლადაც სურს სამაგიეროს გადახდა ამერიკისათვის ამის მიღწევა მას შეუძლია მხოლოდ საბჭოთა ფედერაციის ცნობით.

ეს საუკეთესო პასუხი იქნება ამერიკის საიმიგრაციო კანონზე.

---

## მე-13 ყრილობის მნიშვნელობა.

### საუბარი ამხ. კამენევთან.

როსტას თანამშრომელთან საუბარში კამენევმა აღნიშნა მეცამეტე ყრილობის მუშაობის შედეგების მნიშვნელობა

#### ყრილობამ გაამართლა იმედები.

ყრილობას უმთავრესათ მოუხდა ორგვარი ხასიათის საკითხების გადაჭრა. ერთი შინა-პარტიულის და მეორე საერთო სახელმწიფოებრივი ხასიათისა. ორივე კათეგორიის საკითხების გადაჭრა კომპარტიის მეცამეტე ყრილობისათვის, ერიგვარი გამოცდა იყო, სადაც მან სრულიად გაამართლა მასზედ დამყარებული იმედები.

## შინა პარტიული იდეოლოგიის განმტკიცება.

ყრილობაზე ოპოზიციამ განაცხადა ამხ. ტროცკის პირით, რომ იგი ემორჩილებოდა ყრილობის ყველა დადგენილებებს. აქედან ცხადია რომ ოპოზიციამ შეიგნო თავის შეცდომები.

ცეკას მოქმედების დადასტურებით, ყრილობამ განახორციელა შინა-პარტიული იდეოლოგიის განმტკიცების საქმე.

#### კომკავშირის ყრილობა ოდესაში.

ოდესის გუბერნიის ახალგ. კომკავშირის ყრილობაზე გამოირკვა, რომ ოდესის გუბერნიაში 1-ლი აპრილისათვის ირიცხებოდა 14.000 კომკავშირელი.

#### დღესასწაული თურქესტანში.

თურქესტანში დიდის ზეიმით ჩატარდა თურქესტანის ღატაკთა და მშრომელთა დღესასწაული კოშჩი.

---

## პოლიტიკური კრიზისი საფრანგეთში

### როგორც იქმნა.

გავასის სააგენტო ოფიციალურად იტყობინება, რომ მილიერანმა გადასწყვიტა გადადგომა,

### ინტრიგები პრეზიდენტის თანამდებობის გარშემო.

რესპუბლიკის განთავისუფლებულ პრეზიდენტის თანამდებობაზე დიდი ინტრიგები იხლართება დღითი დღე. მემარცხენეებმა მტკიცედ გადასწყვიტეს დაიცვან პენლევეს კანდიდატურა. ცენტრი და მემარჯვენეები ყოველგვარ ზომებს ხმარობენ ისეთი კანდიდატის გაყვანის, რომელიც გაუადვილებს პუანკარეს სენატის თავმჯდომარის თანამდებობის დაკავებას.

### მტკიცე იქნება ის კაბინეტი, რომელიც იცნობს საბჭოთა კავშირს.

#### პენლევეს განცხადება.

„იუმანიტეს“ მოყავს პენლევეს განცხადება, რომელიც გამოქვეყნებული იყო „ნიუ-იორკ-ტაიმსში“, საბჭოთა კავშირის ცნობის შესახებ. „ამ ჟამად,—განაცხადა პენლევემ, ის კაბინეტი, რომელიც უარს იტყვის საბჭოთა კავშირის ცნობაზე, ის ვერ იარსებებს ხანგრძლივად ხელისუფლების სათავეში.

ამ საკითხის მოსაგვარებლად ორი მეთოდია — ერთი დაუყონებლივ ცნობა და ფინანსიურ საკითხების მოსაგვარებლად ღია მოლაპარაკების დაწყება ანდა ცნობას წინ უნდა უძღოდეს ფინანსიურ საკითხების მოგვარება. მე მომხრე ვარ მეორე მეთოდის.

მაგრამ საკითხი იბადება — დასთანხმდება თუ არა შეერთებული შტატები, რომ საფრანგეთმა გადასცეს მას თავის ვალების გარანტიად ნახშირისა და ნავთის კონცესიები, რომელსაც საფრანგეთი მიიღებს საბჭოთა კავშირისაგან“.

„იუმანიტე“ აღნიშნავს აუცილებლობას პენლევეს მხრივ ამ განცხადებას ან უარყოფას, ან დადასტურებასა.

### პრეზიდ. გადადგომა

პრეზიდენტ მილიერანმა აცნობა კაბინეტს რომ ის გადადგება დღეს.

მილიერანმა სთხოვა მარსალს, რომელიც გუშინ გადადგა, დარჩეს ხელისუფლების სათავეში, ნაციონალურ ყრილობის მიერ ახალ პრეზიდენტის არჩევამდე და მთავრობის შედგენამდე.

ახალი პრეზიდენტი, უთუოდ არჩეულ იქნება ვერსალში პარასკევს.

მილიერანმა წერილობით აცნობა პალატის თავმჯდომარეს თავის გადადგომის შესახებ.

### ახალი პრეზიდენტის არჩევნები.

საფრანგეთის რესპუბლიკის ახალ პრეზიდენტის არჩევნები დანიშნულია დღეს 7 საათისათვის ვერსალში. ყველაზე უფრო მოსალოდნელია პენლევეს ან დუმერგის არჩევა.

---

## ალბანეთის აჯანყება

### ტირანის აღება დად ასტურებულია.

ბელგრადიდან მოსული ცნობებით აჯანყებულების მიერ ტირანის აღება მართალი ცნობა გამოდგა.

#### მთავრობა გაიქცა.

იქიდანვე იტყობინებიან, რომ ტირანის აღების გამო მთავრობის წევრები გაიქცნენ დაურაკცოში.

#### წარმატებით იბრძვიან.

აჯანყებულები წარმატებით იბრძვიან. რომოდან მოსული ცნობებით მთავრობის უკანასკნელი პოზიციები გადადიან აჯანყებულთა ხელში.

#### დროებითი მთავრობის გამოცხადება.

ბელგრადიდან უკანასკნელათ მოსული ცნობა გვატყობინებს, რომ ალბანეთში შესდგა ფინ-ნოლის თავმჯდომარეობით დროებითი მთავრობა.

#### არ ჩავერევით.

ბელგრადში გამოქვეყნებულია ოფიციალური ცნობა, რომ სამხრეთ სლავია და იტალიის მთავრობებმა გადასწყვიტეს არ ჩაერიონ ალბანეთის შინაურ საქმეებშიო.

---

## იტალიაში.

12 ივნისს საღამოს, შესდგა ფაშისტების უზენაესი კავშირის სხდომა.

# გაფიცვა ლონდონში.

## მოლაპარაკების წარმოება.

რკინის გზელთა ოთხი კავშირის წარმომადგენლებს მოელაპარაკა მიწის ქვეშა რკინის გზის უფროსი ინჟენერი. მუშებმა ინჟენერს წარუდგინეს მოთხოვნილება და განუცხადეს მას, რომ ეს მოთხოვნილება უნდა განიხილონ რკ. გზის ყველა კომპანიებმაო.

### ვერ შეთანხმდებიან.

ფიქრობენ, რომ მუშებისა და ინჟენერს შორის წარმოებული მოლაპარაკებიდან არაფერი გამოვა და შედეგათ ის იქნება, რომ გაფიცვა გამოცხადდება ოფიციალურად.

### მოუწოდებენ ლალატისაკენ.

რკინის გზელთა ნაციონალური კავშირის მდივანმა კრამპმა განაცხადა, რომ იგი არ წავა „ერთ მუშა“ მუშებთან კომპრომისზე, რადგანაც მხოლოთ რამდენიმე მუშა ხელმძღვანელობს გაფიცვებს, კრამპი მოუწოდებს კავშირის ლოიალურ წევრებს შეუდგნენ მუშაობას.

### კომუნისტებს აბრალებენ.

მიუხედავათ იმისა, რომ ბურჟუაზიული პრესა გაფიცვების მოწყობას და ხელმძღვანელობას კომუნისტებს აბრალებს, იქ მხოლოდ ერთი კომუნისტი ღებულობს მონაწილეობას.

### ყვითელი პრესის კომპანია.

ინგლისური გაზეთები აღნიშნავენ, რომ გაფიცვები მარცხისაკენ მიდისო, თუმცა ახალი გაფიცვებიც ხდება ყოველ დღე. საზოგადოთ ყვითელი პრესა სცდილობს, რომ გაფიცვებს მისცეს სათაკილო ხასიათი.

# გერმანიაში

## ეკონომიას ეწევიან.

თანახმად ფინანსთა სამინისტროს მემორანდუმისა 31 მარტისათვის დაითხოვეს მუშა-მოსამსახურეთა 25 პროც. ამიტომ მიღწეულ იქნა ეკონომია 434 ოქროს მარკა.

## ვინ აქებს სოციალ-დემოკრატებს.

სოციალ-დემოკრატების მომავალი ყრილობის გამო მარქსის გაზეთი „გერმანია“ სწერს, რომ სოციალ-დემოკრატებმა გამოიჩინეს დიდი სახელმწიფოებრივი სიბრძნე, როდესაც მათ ხმა მისცეს მარქსის მთავრობას მიუხედავად იმისა, რომ ისინი მოწვეულიც კი არ ყოფილან ამ მთავრობის შედგენის დროსო. ამიერიდან სოციალიზმის საშიშროება თავიდან აშორებულად უნდა ჩაითვილოსო.

ასე აქებს ბურჟუაზია სოციალ-დემოკრატებს.

### კომპარტიის მოწოდება.

კომპარტიამ გამოსცა მოწოდება ბერლინის პროლეტარიატისადმი, სადაც მოუწოდებენ, რომ გამოვიდნენ 15 ივნისისათვის დანიშნულ დემონსტრაციაზე, რომელიც გაიმართება როზა ლიუქსემბურგის საფლავზე ძეგლის გასახსნელად.

### სწორი გზა.

შუშების ჩამოსხმის წარმოების მუშათა კავშირმა დაადგინა გამართოს მოლაპარაკება წითელ პროფინტერნთან, მასთან შეთანხმების მიზნით.

# პოლონეთი

## ახალი დიქტატორი

მთავრობამ შეიტანა სეიმში რწმუნებათა პროექტი გრაბსკის მიერ წარდგენილი. გრაბსკი მოითხოვს ფინანსიურ ხასიათის რწმუნებულებას მაგრამ თუ სეიმმა მას მიანიჭა ეს რწმუნება იგი გახდება პოლონეთის სრული მბრძანებელი დიქტატორი და უფლება ექნება გაყიდოს სახელმწიფოს ქონება.

# საბჭოთა კავშირში.

## მოსავალი კარგი იქნება.

უკრაინის მიწად-მოქმედების კომისარიატის ცნობებით, უკრაინაში წრეულს, მართალია დააზარალა გვალვამ ნათესები, მაგრამ საზოგადოთ მოსავალს მაინც კარგი პირი უჩანს.

### წვიმები მოვიდა.

უკრაინაში უკანასკნელათ მოსულმა წვიმებმა საგრძნობლათ გამოაკეთეს ნათესები.

### ვლადიმირის გუბერნიაში.

ვლადიმირის გუბერნიაში, წვიმიანი ამინდის შემდეგ ნათესისათვის ძლიერ კარგი ამინდებია.

## დონში და ყუბანში.

დიდი წვიმების შემდეგ, ერთი კვირაა აქ დიდი გვალვები დაიჭირა თუ ასე გაგრძელდა ჭირნახული საფრთხეშია.

### ბრძოლა მინდვრის თაგვებთან

სტავროპოლის გუბერნიაში ბრძოლა მინდვრის თაგვის წინაალმდეგ ფართო ხასიათს ღებულობს. ცნობაა რომ მინდვრის თაგვებიდან გაწმენდილა 300.000 დესეტინა მიწაო.

# ამერიკა და იაპონია

## ამერიკის ელჩის მოკვლის განზრახვა.

ნიუ-იორკიდან მოსული ცნობით, იოკაგამაში მყოფ ამერიკის საელჩოში შესულა იაპონელი მუშა ტიტველი სატევრით და განუცხადებია, რომ იგი მოჰკლავს ელჩს, თუ უკანასკნელი არ დასდებს დეპირებას, რომ გაილაშქრებს საიმიგრაციო კანონის წინაალმდეგ. მუშა დააპატიმრეს.

# რადიო ყოველ მხრიდან

## ფერმერების გამოსვლა იტალიაში

ნეაპოლის ახლო, ტეანოში მოხდა უწესრიგობანი, რაიც გამოიწვია ფერმერებზე დიდი გადასახადების შეწერამ. ფერმერებსა და კარაბინიერებს შორის მოხდა შეტაკება, რის შედეგადაც კარაბინიერები დამარცხდნენ და უკან დაიხიეს.

## მაკდონალდი და მუსოლინი.

ჰავასის სააგენტოს ცნობით, მაკდონალდი უარყოფს მუსოლინის წინადადებას, შვეიცარიაში შეხვედრის შესახებ და წინადადებას მისცემს მას შეხვდნენ ლონდონში.

## ამერიკელებზე თავდასხმა იაპონიაში.

ნიუ-იორკიდან მოსული ცნობებით იაპონიაში თან და თან იზრდება მძულვარება ამერიკისადმი. იტყობინებიან, რომ რამოდენიმე ამერიკელ მილიონერს თავს დაესხა იაპონელთა ბრბო.

### ინგლის ირაქის შეთანხმება.

ანგორიდან იტყობინებიან, რომ ინგლის ირაქის შეთანხმება მესოპოტამიის შესახებ ჩაიშალა.

### სერბიის მთავრობა გადადგომას აპირებს.

სერბიის სამხედრო მინისტრმა შეიტანა გადადგომის ქაღალდი. ამბობენ, რომ პაშიჩის მთავრობა მთლიანად აპირებს გადადგომასო.

# იაპონიის ახალი მთავრობა.

ტოკიოდან იტყობინებიან, რომ კატოს მთავრობაში ადგილები შემდეგნაირად იქნება განაწილებული კატო - პრემიერი, ეხლანდელი ელჩი ვაშინგტონში შიე—უარა —გარეშე საქმეთა მინისტრი, პაკრაზე—საზღვაო, შუცაკი—სამხედრო და ხანაგუში —ფინანსთა.

### ამერიკელები გარბიან იაპონიიდან.

იაპონიაში ანტი-ამერიკული მოძრაობის გაზრდის გამო, ამერიკელები სტოვებენ იაპონიას.

# უშვერი სიტყვების წინაალმდეგ მებრძოლ სამეულების დაარსების გარშემო.*)

საკავშირო კომუჯრედის დადგენილებამ ოცეულში უშვერი სიტყვების წინაალმდეგ მებრძოლ სამეულების დაარსების შესახებ თანაგრძნობით შეხვდენ თითქმის ყველა ნაწილებში.

ასეთ სამეულის დაარსება პირველი ცდა არის ჩვენს ჯარში და როგორც ასეთს, მოქმედების განსაზღვრული გეგმა მას არა აქვს გამომუშავებული, რაც პირველ ხანებში მუშაობას შეაფერხებს.

მაგრამ ამას არ უნდა მოვერიდოთ და საჭიროა აქედანვე განვსაზღვროთ მისი მუშაობის ფარგლები.

ამ საკითხის დასმა საკავშირო ასეულში გამოიწვია უმთავრესად ერთმა გარემოებამ, ნაწილში უშვერი სიტყვების მოსპობის აუცილებლობამ. მაგრამ, ჩვენ ვიცით, რომ ამის გარდა ბევრი რამ ისეთია ჩვენს ნაწილების ცხოვრებაში, რომელიც დიდ ყურადღებას თხოულობს.

წ. არმიელის ცხოვრებაში მრავალი ისეთი კითხვებია, რომლებიც ეხებიან ზნეობრივ დონის ამაღლებას და ჰიგიენის დაცვის საქმეს, რომლის მოგვარებას უნდა მოხმარდეს დიდი ენერგიული ბრძოლა. წითელ არმიელის ცხოვრებაში ჰიგიენას აქვს დიდი მნიშვნელობა. ეს კიდევ არა აქვს შეგნებული ყველა წით. მოლაშქრეს.

წითელ არმიელის საცხოვრებელი ბინა ისე უნდა იყოს სისუფთავის მხრივ დაცული, რომ უბრალო ასანთის ნაწვავის დაგდებაც კი, სასტიკათ აკრძალული უნდა იყოს. შემდეგ, პურის უჯრები და სადილის ქოთნები მუდამ სუფთად უნდა ინახებოდეს. უბრალო ძვლის დაგდება სასტიკათ უნდა იკრძალებოდეს.

ამ თემაზედ ნაწილის ექიმები კითხულობენ ლექციებს, მაგრამ ზოგ შემთხვევაში სინამდვილეში ეს ზომები არ ხორციელდება.

ხშირი არის შემთხვევა, როდესაც ნაწილში გამოერევა ბოროტი პირი, რომელიც მიჩვეულია არამზადობას, ქურდობას და ასეთი პიროვნების წყალობით ირყვნება სხვა წითელი მოლაშქრე, მასაც აჩვევს თავის „ხელობას“.

ამ ნიადაგზედ ნაწილში იკარგება წ. მოლაშქრეზედ გაცემული სახაზინო ქონება და ბოლოს პასუხს სთხოვენ პატრონს. ასამართლებენ რევტრიბუნალში. რა მისი ბრალია, რომ მას მაზარა ან ხალათი მოპარა ვიღაცამ ძილის დროს. კიდევ არის კითხვები წითელ არმიელის ცხოვრებაში, რომელიც პირადათ ეხება წ. მოლაშქრეს. მაგალითად ფეხის, ხელის და პირის დაბანა, ფრჩხილების მოჭრა და გაწმენდა, პირის დროზე მოპარსვა, ღილების ხალათზედ და შალვარზედ დაკერება, ფეხსაცმელების სუფთად შენახვა და სხვა წვრიმალი კითხვები, რომელთა ყველას ჩამოთვლა შეუძლებელია. ყველა ზემოთ დასახელებული ნაკლულოვანება, რაც დღეს არსებობს ჩვენს ჯარის ნაწილებში უსათუოდ უნდა გამოეცხადოს ბრძოლა, რაც ჩემის აზრით, უნდა დაეკისროს ხსენებულ სამეულებს. ამისათვის კი საჭიროა ადგილობრივ გამომუშავდეს მუშაობის გეგმა და მის ცხოვრებაში სისწორით გატარება.

ოცეულების ფარგლებში კომისიების დაარსება მიზანშეწონილია, რადგან კომისიები გასწვდებიან ყოველივე უარყოფითი მოქმედების დამნაშავე პირების შესახებ ცნობების შეკრებას და საზოგადო კრებებზედ ამხელენ მათ ნამოქმედარს, ეს წინადადება სიამოვნებით იქნა მიღებული, და როგორც სარწმუნო წყაროებიდგან იტყობინებიან უკვე ატარებენ ჩვენ დივიზიის ნაწილებში.

მე მგონია ყველა ნაწილები გაითვალისწინებენ ამ კომისიის საჭიროებას და მის დაარსებას დააყენებენ დღის წესრიგში.

ამ საქმის მოგვარება შესაძლებელია მხოლოდ წ. მოლაშქრის მხურვალე მონაწილეობით მოვსპოთ ყოველივე უარყოფითი მოვლენები წ. არმიის ცხოვრებაში, რომელნიც არ შეეფერება მის დიდ სახელწოდებას რევოლიციის დამცველ გუშაგისა.

ბრძოლა ახალი ყოფა-ცხოვრებისთვის უნდა გახდეს ჩვენი დამკვრელ ამოცანად.

ს. ლ.

*) რედაქციისაგან. ამხ. ლომიძის წერილს ვათავსებთ დისკუსიის წესით.




## ᲩᲕᲔᲜᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲛᲔᲪ ᲓᲘᲜᲔᲝᲖᲘᲡ ᲤᲔᲠᲮᲣᲚᲨᲘ.

ცალკე საკავშირო ასეულში პოლიტიკური საუბრები უკვე დაიწყო ახალწვეულებთან. ყველანი განსაკუთრებული გულის ყურით და ინტერსით ეკიდება პოლიტიკური ცოდნის შეძენას.

პოლიტიკურ ბაასში ახალწვეულებს გასაგები ენით ერკვევათ ყოფილი მენშევიკური მთავრობის გამცემლური პოლიტიკა, იხსნება თუ რა არის და ვის ემსახურება საბჭოთა მთავრობა, როგორი მიზანი აქვს დასახული წითელ ჯარს და მრავალი სხვა. უკვე გამოირკვა, რომ ჩვენთან არ იმყოფება არც ერთი წერა-კითხვის უცოდინარი წ. არმიელი.

თითეულ ახალწვეულს შეგნებული აქვს თავისი მოვალეობა.

**ჩხარტიშვილი.**

---

## ᲪᲐᲚᲙᲔ ᲡᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲝ ᲐᲡᲔᲣᲚᲘ

საკავშირო ასეულში პარტიული და კულტურული მუშაობა ამ ბოლო ხანებში ძალიან გაუმჯობესდა, რომელსაც ხელი შეუწყო პოლიტ განიდან მომაგრებული ამხანგების მუშაობაში ჩაბმამ, მაგარამ მაინც არის ერთი დიდი ხელის შემშლელი მიზეზი. ეს არის, როგორც სპეციალური ნაწილი, ჩვენ დაგვაწვა გარნიზონის ყარაული, ვერც ერთ წითელ არმიელს ვერ ნახავთ, თავისუფალს, დღეს რომ მოვა ყარაულიდან ხვალ ისევე განწესებაშია.

ეს კი უშლის ხელს მუშაობის სათანადო სიმაღლეზე დაყენებას. მაგრამ იმედია, რამდენიმე ხნის შემდეგ ასე აღარ იქნება და ჩვენ პარტიულ და კულტურულ მუშაობას დავაყენებთ სათანადო სიმაღლეზე.

ამ ერთი თვის განმავლობაში კომუჯრედის კრებები მოეწყო სამჯერ სადაც გარჩეული იქნა სხვა და სხვა აღმშენებლობითი, სააგიტაციო და ორგანიზაციული კითხვები. მოხსენებებს აკეთებდენ, როგორც წითელ არმიელები, ისე მომაგრებული ამხანაგები—პოლიტგანიდან, მუშათა ფაკულტეტიდან და ქარხნიდან „თემზადან“ რომელსაც ხელმძღვანელობას უწევდა პრეზიდიუმი. აგიტკომპანიები ჩატარებულია.

5 მაისი კარლ მარქსის და ბეჭვდის დღე, 10 მაისი ვოროვსკის მკვლელობის „ლოზანის კონფერენციაზე“, და საფრანგეთის რევოლიუციის 135 წ. თავი, სადაც აქტიური მონაწილეობა მიიღეს წითელ მოლაშქრეებმა.

პარტ-კორი. **სვირელი.**

---

## ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ.

### ᲠᲐᲪ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲛᲔᲢᲘ ᲐᲡᲔᲗᲘ ᲙᲠᲔᲑᲔᲑᲘ.

(1-ლი ლეგიონი).

დღეს პირველ საათზე დანიშნულია პარტიული კრება... ცხელა... გახურებულ ოთახში დაგუბებულია ჰაერი. დაღლილ-დაქანცული ამხანაგები ნელ-ნელა გროვდებიან. ცოცხალი დილის ჩვეულებრივი სიცხოველე ნაკლებათ ეტყობათ.

აქა-იქ ხმაური, მუსაიფი და ხუმრობაა.

ვიღაც მოხუცი, დაბალი ტანის, ჩაფსკვნილი აგებულების, ნახევრათ ამცხვანებული, მხნე და მტკიცე გამომეტყველების შემოდის, თავისუფლათ ჯდება სკამზე. არც უყურებს ვინმეს და არც ეკითხება არაფერს ჯდება და ათვალიერებს სამხედრო სქემებს.

ჰალარა სტუმრები ყაზარმებს არ სჩვევია, აქ სულ ახალგაზრდებია. მოხუცნი თუ მოვლენ, შვილებს ან ნათესავთ მოინახულებენ და ისევ გაბრუნდებიან .. ეს კი ზის სასროლ კაბინეტში.

კრებაც გაიხსნა. თავმჯდომარე, მდივანი, დღის წესრიგი, მოხსენებები, შეკითხვები, რეზოლიუცია, ერთი სიტყვით, ყველაფერი მიღებული იქნა ერთხმად.

დღის წეს-რიგი აგერ-აგერ ამოიწურება... მაგრამ არა! რაღაც ახალი საკითხი აღმოჩნდა დღის წესრიგში. კრებამ არაფერი იცოდა. ვინ დასვა საკითხი! მივიღოთ, არ მივიღოთ, გვინდა—არ გვინდა, მაგრამ... —„მომხსენებელი“?! იყვირა ვიღაცამ...

— „სიტყვა მოხსენებისათვის ეძლევა ამხ. დოლიძეს“, გამოაქვეყნა თავმჯდომარემ.

დოლიძე! ასეთი ჩვენს ლეგიონში არავინ არის, ისიც მომხსენებელი. წინ წამოდგა უცნობი მოხუცი... სამარისებურმა სიჩუმემ მოიცვა დარბაზი. ცნობის მოყვარეობით და დაკვირვებით აღვსილი გამოცოცხლებული თვალები ჩააცქერდებიან მოხუცს.

— „მე მოხსენება კიარა, საუბარი მინდოდა თქვენთან“—დაიწყო მან დინჯათ,—ამხანაგებო, მე მოხარული ვარ, რომ მახსენდება წარსული და მიკვირს, რომ მოხსენებას ვაკეთებ აქ, ყაზარმაში... კაცო, ყაზარმაში კომუნისტებს, ან კომუჯრედს რა უნდოდა.. საქართველოში ვიყავით კომუნისტები მე და მიხა ცხაკაია, ჩოდრიშვილი, წულუკიძე და მახარაძე. ეხლა ყაზარმაში კომუჯრედი, ამდენი კომუნისტები და მოხსენებებია. ვინ იფიქრებდა ამას 30 წლის წინეთ...“

ოო!!! 30 წელიო?!

დიახ, 30 წლის მუშა კომუნისტი მიამაგრა ჩვენს კომ-უჯრედს მიწათმოქმედების სახ. კომისარიატის კომუჯრედმა.

მოხსენებაც გაგვიკეთა მიწის საკითხზე. მას არ უთქვამს იქ არც ერთი გაუგებარი სიტყვა, მისი სიტყვები გულიდან ამონახეთქია, რომელსაც ხარბად იტაცებდა და ითვისებდა მსმენელი ახალგაზრდობა, ის არც აღელვებულა ჩვენსავით, მას ბევრი რამ უნახავს და გადაუტანია, მძიმეთ უგრძნია მწარე წარსული... ჩვენ კი, ახლები ვცხოვრობთ და ვმუშაობთ ახლებში და როგორ უნდა შევითვისოთ პარტიის რევოლიუციონური ტრადიცია თუ ასეთ მუშებთან არ გვექნება დამოკიდებულება.

**ძ—ია.**

---

## ᲥᲐᲠᲗ. ᲓᲘᲕᲘᲖᲘᲘᲡ ᲡᲐᲛᲮᲔᲓ. ᲢᲠᲘᲑᲣᲜᲐᲚᲨᲘ.

### ᲜᲘᲙᲝᲚᲝᲖ ᲯᲛᲣᲮᲐᲫᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲔ.

11 ივნისს ქართ. დივიზ. რევტრიბუნალმა, თავჯდომარე ა. ლეკვეიშვილისა და კოლეგიის წევრების. დ. პიხაძისა და გოგიჩაიშვილის შემადგენლობით, გაარჩია უნცროს მეთაურთა სკოლის უმწყობრო გუნდის ფურაჟირის ნიკოლოზ მელიტონის ძე ჯმუხაძის საქმე.

ბრალი ედებოდა სახაზინო ქონების მითვისება გაფლანგვაში, როგორც თანამდებობის პირს ე. ი. იმ ბოროტმოქმედების ჩადენაში, რომელიც გათვალისწინებულია ს.ს.კ. 116 მუხლის 1 ნაწილით.

საქმის გამოძიებამ გამოარკვია შემდეგი: აღნიშნულ ნაწილში ბრალდებული ჯმუხაძე ასრულებდა ფურაჟირის მოვალეობას ათი თვის განმავლობაში და ამ ხნის განმავლობაში იგი არ ყოფილა შემჩნეული ცუდ ყოფა-ქცევაში და ითვლებოდა საუკეთესო წითელ არმიელათ. ნაწილში იყო აგრეთვე ძველი და სრულიად გამოუსადეგარი „ვალინკების“ საგრძნობი ნაწილი, რომელიც გატარებული არ იყო საქმეებში და არც ითვლებოდა სახაზინოთ უვარგისობის გამო. ყოფილა კიდეც განკარგულება, რომ ეს „ვალინკები“ გადაეყარათ.

ერთხელ ჯმუხაძეს, შვებულებაში წასვლისას თან წაუღია ამ ვალინკებიდან ერთი წყვილი, თავის სოფელში. ყოფილა შემთხვევა, რომ ჯმუხაძეს გაუყიდნია ერთი ცალი „შლეი“ (ცხენის მოსართავი). ჰგონებიათ, რომ აღნიშნული „შლეი“ სახაზინო იყოვო და ჯმუხაძე დაუპატიმრებიათ. როდესაც გაუშინჯავთ ქონება, აღმოჩენილა, რომ ყველა სახაზინო „შლეი“ უკლებლივ იყო. ასე რომ გაყიდული შლეი ჩაითვალა ჯმუხაძის კუთვნილებათ. ამის გამო სასამართლომ დაასკვნა.

ვინაიდან ჯმუხაძის მოქმედობაში არ არის არავითარი ნიშნები ბოროტმოქმედებისა, ამიტომ ბრალდება გათვალისწინებული ს.ს.კ. 116 მუხ. 1 ნაწ. დაუმტკიცებლობისა გამო მოხსნილ იქნეს და ჯმუხაძე კი გამართლებული.

**დ.**

---

## ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ.

— **არაჩვეულებრივი ქარი ტფილისში.** 11 ივნისს, საღამოს 7 ნახ. საათზე ტფილისში გადაიარა უჩვეულო ქარიშხალმა, რომელმაც ქალაქს მიაყენა საგრძნობი ზიანი. ქარიშხალს წვიმა არ მოჰყოლია.

— **გორის აღსადგენად.** გორის აღმდგენ კომიტეტს ქალაქის აღმასკომმა გადასცა 500 მანეთი დახმარების სახით.

— **ციებ - ცხელებასთან საბრძოლველად.** ა. კ. უმაღლესმა ეკონომიურმა საბჭომ ციებ-ცხელებასთან საბრძოლველად გადასდო ასი ათასი მან. აქედან საქართველოსთვის 33.000 მანეთი არის გადადებული.

— **პურის მოსავალი.** სიღნაღის მაზრაში მოსულმა წვიმებმა ნათესები გამოაკეთა. პურის მოსავალს საშუალოზე ნაკლებს მოელიან.

— **დახმარება პროლეტ-კულტს.** ა. კ. უმაღ. ეკ. საბჭომ გადასწყვიტა აღმოუჩინოს დახმარება ყოველთვიურათ საქართველოს პროლეტ-კულტს.

— **ზემო ავჭალაში.** ზემო ავჭალის ჰიდრო-ელსადგურთან მოეწყო საავათმყოფო. საავათმყოფოსთან ეწყობა მუშათა კლუბი და თეატრი, რომელიც დაიტევს 1000 კაცზე მეტს,

— **წერა-კითხვის უცოდინარობის მოსპობა აჭარისტანში.** მთავარ პოლიტმმართველობის ცნობით ამ ჟამათ აჭარაში მოქმედებს 48 წ. კ. უცოდინარობის სალიკვიდაციოთ. სწავლობს 1.430 კაცი.

— **მცენარეობის საჩვენებელი სადგური.** აჭარისტანის ჯანმრთელობის კომისარიატმა გადასწყვიტა მოაწყოს ბათომის ახლოს სამკურნალო მცენარეულობის საცდელ—საჩვენებელი სადგური.

— **ფასების დაკლება.** ტყავეულ. სინდიკატმა ტყავეულობაზე დაუკლო ფასები 5—9 პრც.

— **საგლეხო სესხი.** ცეკავშირმა მიიღო თავის თავზე 50.000 მანეთის საგლეხო სესხის განაღდების საქმე.

— **დახმარება სოფელს.** სოფელ ანაგის) სიღნ. მაზრა) სახალხო სახლის საჭიროებისათვის ცეკავშირმა გადასდო 30 მანეთი.

— **წარმომადგენელის დანიშვნა.** ზემო ავჭალის ჰიდროელსადგურის ამშენებელ კომიტეტში, ქალ. აღმასკომმა თავის წარმომადგენლათ დანიშნა ამხ. ვაშაკიძე.

## ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲐ.

— **დოლი და რბენა.** კვირას 15 ივნისს, დიდუბეში გაიმართება დიდი დოლი და რბენა.

— **ახალი წიგნი.** გამოვიდა პოეტ კ. ჭიჭინაძის ლექსების წიგნი. წიგნი შეიცავს 86 გვერდს და ღირს ერთი მანეთი.

---

## ᲡᲐᲡᲝᲤᲚᲝ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲐ.

### ᲕᲐᲨᲚᲘᲡ ᲛᲐᲕᲜᲔ ᲪᲮᲕᲘᲠᲒᲠᲫᲔᲚᲐ ᲮᲝᲭᲝ.

აყვავებულ ვაშლზე და მსხალზე ხშირათ შეამჩნევთ გაუშლელ საყვავილე კვირტებს, რომლებსაც რუხი ფერი აქვთ და ყინვისაგან დაზიანებულს ჰგვანან. როცა კვირტებს გავჭრით შიგ თეთრ—უფეხო ჭიას ვნახავთ, რომელიც არის ყვავილის დაზიანების მიზეზი. ამ ჭიას და მის ხოჭოს ეწოდება ვაშლის ცხვირგრძელა ხოჭო. ვაშლის ცხვირგრძელა ხოჭო ბუსუსებიანი მუქ-მოშავო ფერის პატარა მწერია. ის მრავლდება ასე: ხოჭოები ადრე გაზაფხულზე გამოდიან ზამთრის თავშესაფარიდან, დაცოცავენ ვაშლის და მსხლის ტოტებზე და იკვებებიან საყვავილე და საფოთლე კვირტებით. როცა კვირტები გაიზრდებიან დედალი ხოჭო გამობურღავს მას ვიწროთ და ხვრელში სდებს კვერცხს ისე, რომ ის იქედან არ გამოვარდეს. დაზიანებული კვირტი პირველ ხანებში ჩვეულებრივ იზრდება და არაფერი ემჩნევა. ერთი კვირის შემდეგ კვერცხებიდან იჩეკებიან მატლები. პირველ ხანებში მატლი იკვებება კვირტის გულით. ორი კვირის შემდევ ჭია ამთავრებს ზრდას და იქვე კვი-

რტის გულში იკეთებს პარკს. ერთი კვირის შემდეგ პარკიდან გამოდის ხოჭო. ის ხვრეტს გამხმარ კვირტის კანს და გარეთ გამოძვრება. დაზიანებული კვირტი ძირს ვარდება. ამრიგათ ხოჭოს განვითარებას დაახლოებით ერთი თვე უნდა. დანარჩენ თერთმეტ თვეს ხოჭო თავისუფლათ ხის დამსკდარ კან ქვეშ და იკვებება ფოთლების სიფრიფანებით.

განსაკუთრებით დიდ ზიანს აყენებს ხოჭო ბაღებს ცივ გაზაფხულ იან წლებში, როცა კვირტებს გაღვივება უგვიანდებათ. თბილი გაზაფხული ხელს უწყობს კვირტების ადრე გაშლას და ხოჭოები ვერ ასწრებენ შიგ "კვერცხების ჩადებას. ამიტომ ასეთ წლებში ხოჭოების მიერ მიყენებული ზარალი უმნიშვნელოა. ამას გარდა ყოველ ხეხილის ჯიშს ხოჭო ერთნაირათ ვერ აზიანებს. ისეთ ვაშლის ჯიშებს, რომლებიც ადრე გაზაფხულზე შლიან კვირტებს, ხოჭო ვერ აზიანებს.

### მავნებელს ასე უნდა ვებრძოლოთ.

ხოჭოს წინააღმდეგ საუკეთესოა მოსატყუებელ რგოლების გაკეთება ხის ტანზე და მსხვილ ტოტებზე. ხოჭო ზამთრობს ხის დამსკდარ კან ქვეშ. ამიტომ ხის მთავარ ღეროზე აქა-იქ ახვევენ ჩვარს ისე, რომ შიგ შესძლოს შეძრომა ხოჭომ. ასეთ ჩვარის ქვევით თავს იყრიან ხოჭოები ზამთარში და გაზაფხულზე, რამოდენიმეჯერ ვხსნით ამ ჩვრებს და შიგ დაბუდებულ ხოჭოებს ვხოცავთ.

ან ადრე გაზაფხულზე ხოჭოთ დაზიანებული ხის ტოტები უნდა დავანძრიოთ. ზედ მძინარე გაბრუებული ხოჭოები მიწაზე ჩამოცვივდება. შევკრებთ და დავწვავთ.

ამას გარდა უნდა გავაშენოთ ისეთი ჯიშის ვაშლები, რომლებიც ადრე ყვავის.

**მეურნე.**

## წ. არმიელისათვის საჭირო ცნობები სავეტერინ დარგიდან.

ამ უკანასკნელი მოვლენის, ესე იგი იმუნიტეტის შეძენის, დასამტკიცებელი მაგალითები ბევრი გვქონდა სხვა და სხვა სოფლებში, მაგრამ ყველაზე დამამტკიცებელი მაგალითი, რადგანაც ეს მაგალითი აღნიშნული იყო სპეციალურად დანიშნული კომისიის მიერ, მოხდა სადგურ „დაკტუიზე“ (ამ.ერის რკ. გზის სადგურია და სოფელიც), სადაც 15 ივლის 1912 წელს გამოჩენილ იყო ციმბირის წყლული და მაშინ, როდესაც იგი მუსრს ავლებდა იქაურ მცხოვრებლების ცხენებს, სახელმწიფო სამას ცხენს, რომელნიც წინასწარ მე ავცერი 4 მაისს იმავე წელს მთავრობის მოთხოვნით, ციმბირის წყლულმა ვერაფერი ვერა დააკლო რა. ამისთანა მაგალითები ბევრი მქონდა ჯალინდის რაიონშიაც, სადაც სატამოჟნო უწყების ცხენები, წინასწარ ჩემს მიერ აცრილნი ცენკოვსკის ვაქცინით, სრულებით არ დაზიანდნენ იმავე წელს ციმბირის წყლულის მძვინვარების დროს. ცხენები ავცერით პირველი ვაქცინით 1 ივნის და მეორე ვაქცინით 10 ივნისს; სენი გრძელდებოდა ამ რაიონში ზამთრის პირამდე. „ციმბირის წყლულის“ წინააღმდეგ მუშაობის დროს გზა და გზა ჩვენ შევხდით იმისთანა მაგალითებს, რომელნიც ააშკარავებდნენ პროფესორ ლანგის ვაქცინის უვარგისობას იმ მხრივ, რომ იგი ან სულ არ იწვევდა „იმუნიტეტს„ ან და ძლიერ სუსტს და ხანმოკლეს; იგი არ აღემატებოდა 3—3 ნახ. თვეს; ცენკოვსკის ვაქცინა კი აძლევდა ცხოველს მთელი წლის „იმუნიტეტს“.

ამ თვისებაში იმარხება უმთავრესი განსხვავება ცენკოვსკის და ლანგის ვაქცინების შორის. მეორე დამახასიათებელი განსხვავება ამ ვაქცინების შორის არის ის, რომ ლანგის ვაქცინები იწვევენ მცირე, პატარ-პატარა სიმსიმეს და სუსტ დაავადმყოფობას; ცენკოვსკისა კი—დიდს სიმსიმეს (ზოგჯერ მთელ გულ—მკერდსაც იჭერს), მასთან მედგარ—ბობოქრულ-- ავადმყოფობას; ეს მიზეზი არის, რომ სამხედრო ნაწილებში ცხენების ასაცრელად ხმარობენ ლანგის ვაქცინას, რადგანაც ხანგრძლივი მძიმე ავადმყოფობა ხელს უშლის სამხედრო საქმიანობას, რომელიც, შეიძლება, ამა თუ იმ მიზეზებით იყოს სჩქაროდ გამოწვეული. ცენკოვსკის ვაქცინები, შედეგებით უფრო ღირებულებიანი, იხმარება სასოფლო სამეურნეო ცხოველებზე და სამრეწველო საქონელზე, თუ ამ საქონელს სამუშაო დანიშნულება აქვს. სანიმუშოდ 27 მარტს 1912 წ. ალბანიზის რაიონში ჩვენ ავცერით ცხენები ლანგის პირველი ვაქცინით და 7 აპრილს მისი მეორე ვაქცინით. ამ აცრით ჩვენ გვქონდა მიზნად ეს ცხენები გადაგვერჩინა „ციმბირის წყლულისაგან“, თუ ვინიცობაა იგი გამოჩნდებოდა ამ წლის ზაფხულს ან შემოდგომას. ამ სენმა მართლა იჩინა თავი 15 ივლისს და იმსხვერპლა 4 აუცრელი ცხენი პირველსავე დღეს; 15 ივლისიდან—1 აგვისტომდე დაიხოცა 45 ცხენი და ამ რიცხვში ის 25 ცხენი, რომელიც ჩვენ ავცერით მარტში ლანგის ვაქცინით; მართალაც ეს ხანი განისაზღვრება სამი თვით; ამ მაგალითმა დაგვარწმუნა ლანგის ვაქცინის სისუსტეში, მაშინვე შევცვალეთ იგი ცენკოვსკის ვაქცინით. რომლითაც გადავარჩინეთ დანარჩენი ცხენები. ამ მხრივ პრაქტიკული სარგებლობა „აცრისა“, ყოველ ეჭვს გარეშე უნდა იყვეს, ნამეტურად იმათთვის, ვისიც ცხოვრების სალსარს და იარაღს შეადგენს ცხოველი. ამა ქვეყნის ძლიერებისათვის, რომელთაც ძალუძლვთ დახო ცილ საქონლით მიყენებული ზარა ლი აინაზღაურონ იმავე გლეხის ოფ ლით და სხვა და სხვა მანქანებ ხმარებით, ამ რჯულის ხალხისათვის ვიმეორებთ, „აცრას“ არავითარ მნიშვნელობა არა აქვს და არც ეტ ნებიან, პირიქით ამცირებენ მ არარად აგდებენ ხალხის თვალში მით, გაჭირვებაში ჩაგდებულ გლ სამუდამოდ იმონებენ, ასეთი მ ცევა „ძლიერებისა“ ჩვენთვის გ კვირველი არ არის, რადგანაც კარ გათ ვიცით რომ „უმეცარები“ ყვე ლგან და ყოველთვის იყვნენ დ არიან და „უმეცრობა“ ხომ, თავ არსებით,—უსამართლოა და მასთა ყოფიც.

(გაგრძელება შემდეგ)

**ბასრი**

*) იხ. „წ. ა.“ № 522

## სამხედრო საქმე.

### მეტეოროლოგია სამხედრო საქმეში.

მეტეოროლოგია მეცნიერებაა ჰაერის მოვლენებზედ, ამინდზედ. იგი სწავლობს ჰაერის წოლვას, მის ტემპერატურას, სინესტეს, ღრუბლებს, წვიმას, თოვლს, ნამს და სხვა. ეს მეცნიერება აქამდისინ გამოსადეგი იყო სასოფლო მეურნეობის ყოფაცხოვრებაში და ზღვაოსნობაში, უკანასკნელ ხანში როდესაც საომარ ბრძოლის საშუალებანი გამრავლდა და ასპარეზზედ ჰაეროპლანები და ქიმიური საშუალებანი შემოღებულია—მეტეოროლოგიას განსაკუთრებული ადგილი დაეთმო სამხედრო საქმეში. უწინაც სამხედრო საქმეში ამ მეცნიერებასთან ანგარიშის გაწევა უხდებოდათ, მხოლოდ იგი ვიწრო მეცნიერულ მიზანს ემსახურებოდა. ამ ჟამად კი მეტეოროლოგია გახდა ბრძოლის ველზედ აუცილებელ საჭიროებათ. არმიებში განსაკუთრებული მეტეოროლოგიური სამსახურია დაწესებული. მოწინავე მეტეოროლოგიური სამსახურის დანიშნულებაა მოწინავე მეტეოროლოგიური წერტის მოწყობა, რომლის უმთავრეს მიზანს შეადგენს ქარის მიმართულებისა და ძალის თვალყურის დევნა.

დივიზიის ცენტრალური მეტეოროლოგიური წერტები და საარმიო ცენტრალური მეტეოროლოგიური სადგური ქარის სახიფათო მიმართულების შემთხვევაში არა ნაკლებ ერთი დღის წინეთ ატყობინებენ ჯარის ნაწილებს და აფრთხილებენ, მაინც მიუხედავად ამისა მოწინავე მეტეოროლოგიური წერტები აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენენ, ვინაიდან მოსალოდნელია—ქარის მიმართულების ადგილობრივი გადახრა. მოწინავე მეტეოროლოგიურ წერტზედ მუშაობა უნდა განუწყვეტლივ სწარმოებდეს და იმ შემთხვევაში უნდა გაცხოველებული იყოს, როცა ქარი ხელისშემწყობი იქნება მოწინააღმდეგის აირ-ბალონიან იერიშისათვის.

ღრუბლის იერიშისა და ქიმიურ ნაღმტყორცნის სროლისას მომწამლავი ნივთიერებით ზიანდება არა მარტო მოწინავე ხაზი, არამედ მთელი ზურგიც, ამასთან ატმოსფერიულ პირობებისა და ადგილმდებარეობის მოხაზულობის მიხედვით, მომწამლავ ნივთიერების ღრუბელი შეიძლება გავრცელდეს ზურგში სხვა და სხვა მანძილით, ამიტომ საჭიროა 12 ვერსის ზოლის ფარგლებში პოზიციის ზურგის ადგილმდებარეობის მოხაზულობის შესწავლა და მომწამლავ ნივთიერების გავრცელების მოსალოდნელი გზების განსაზღვრა.

ადგილმდებარეობის შესწავლა იძლევა ყოველ კერძო შემთხვევისათვის ჩვენებას, თუ რა მიმართულებით იმოძრავებს ღრუბელი მის გავრცელების საზღვრებში. ადგილმდებარეობის შესწავლის დროს უმთავრესი ყურადღება უნდა მიექცეს ზურგში დალაგებულ ჯარისაკენ მიმავალ ღელეებს, როგორც მომწამლავ ნივთიერების ღრუბლის მოძრაობის მთავარ გზას. აგრეთვე ყურადღება უნდა მიექცეს დაბლობებს, ხევებს, დანარჩენ ღელეებს როგორც ისეთ ადგილებს, რომელნიც მომწამლავ ნივთიერებას დიდხანს იკავებენ. ტყე, იმის და მიხედვით თუ რამდენათაა იგი ხშირი და დიდი, წარმოადგენს მომწამლავ ნივთიერების გავრცელების დაბრკოლებას.

ადგილმდებარეობის ამ გვარი შესწავლა საჭიროა აგრეთვე ბატარეის პოზიციის მისადევარშიც. ბატარეის გამოთოფვის დროს მომწამლავ ნივთიერების ღრუბელს შეუძლია იმოძრავოს ქარის მიმართულებით, ამასთან ამ ღრუბელს შეუძლია იმოძრავოს ბატარეის პოზიციიდან სხვა მიმართულებით. პოზიციის მისადევარის ამგვარი ძიება იძლევა ქიმიურ მოგერიების გამოსავალ მიცემულობას. მთელ მოწინავე ზოლისა და პოზიციის ზურგის მისადევარისათვის.

**გ. ბ—შვილი.**

## მეცნიერება და ტექნიკა

### სწავლება ძილის დროს.

შეერთებულ ამერიკის ერთ ერთ გიდრო ავიაციონურ სასწავლებელში, ოფიცრები ცუდათ სწავლობდენ და ვერ ითვისებდენ საჭირო ცოდნას მორზეს ანბანის შესწავლაში. რომ აეკილებიათ ეს დანაკლისი აფიცრებს ღამით, ძილის დროს აცვამდენ თავზე ტელეფონებს. და ამნაირად ძილის დროს ჩასძახოდენ ყურში—წინა დღის განმავლობაში შესწავლილ ნიშნებს. ამას ყველაფერს ასრულებდა სპეციალურად დანიშნული ღამის ინსტრუქტორი, ეხლა ღამის ინსტრუქტორი შესცვალეს ავტომატით· ძილის დროს სწავლის ასეთ რაციონალურ საშვალებაზე. მეტად დიდ იმედებს ამყარებენ და ფიქრობენ, რომ მომავალში ის დიდ შედეგებს მოგვცემსო.

### სტატისტიკური ცნობები ბუნებრივი შერჩევის შესახებ.

კ. პისონი არის ინგლისელი მათემატიკოსი და გამოჩენილი ბიოლოგი. მან ბევრი რამ გააკეთა და დიდი შრომა მიუძღვის დარვინიზმის სტატისტიკურად ჩამოყალიბების საქმეში. ის შემდეგ ციფრებს იძლევა ადამიანისათვის ამ მიმართულებით: ცოლ ქმარის მზგავსება სიმაღლით უდრის 0,28. თვალების ფერით—0,10, როგორც სჩანს კავშირი საგრძნობლად ძლიერია. შეძლება ითქვას, რომ მამაკაცები ხშირად ირთავენ ისეთ ქალებს, რომლებიც მათი მზგავსი არიან სიმაღლით. ასეთივე მზგავსება გამოაშკ რავდა ქმრის და ცოლის სიცოც ხლის ხანგრძლიობაში, პისონის მ ერ მოყვანილი ციფრები ამოღებუ ლია ინგლისის საშვალო კლას მოსახლეობიდან.

### რადიოს საიდუმლოება და ვეგარდის აღმოჩენა.

რადიო სადგურებში ხშირად არ ისეთი შემთხვევა, როდესაც, რადი ტალღების სიძლიერე საგრძნობლა სუსტდება. ეს დიდხანს შეადგენ საიდუმლოებას და აქამდე გამოურ კვეველი იყო რადიო ტალღების ს ძლიერის შესუსტების მიზეზი. 189 წ. ერთმა ინგლისელმა ფიზიკოს წამოაყენა თეორია, რომ 50—10 ვერსის სიმაღლეზე იმყოფება ერთ გვარი ატმოსფერის ფენა, რომელი ელექტრონის გამტარიაო. გავი 30 წელი და ხივსადიოს ეს თეო რია სავსებით დამტკიცდა ნორვ გიელ პროფესორ ვეგარდის აღმოჩ ნით. სწორედ ამ გარემოებას ეხ უკვე გარკვეულათ მ აწერენ ხში რად მომხდარ რადიო ტალღებ შესუსტებას. რადგან აღნიშნული ფე ნა ასუსტებს მათ.

**შეიხი.**


ყოველდღიურ სამხედრო გაზეთ

„კრასნაია ზვეზდა“-ზე

სამხედრო ნაწილები და ორგანიზაციები, რომლებიც გამოიწერენ თი მისამართით 28 ც. გაზეთს სამი თვით (ან 15 ც. 6 თვით, 10 ც. თვით) მიეცემათ უფასო დამატება: **მხატვრული კრებული—ალბომ „დიადი საფლავთან“** მიძღვნილი ვ. ი. ლენინის ხსოვნისადმი.

**ხელის მოწერა მიიღება ყოველი თვის პირველ რიცხვებში**

**გაზეთის ფასი:**

1 თვით—1 მანეთი, 3 თვით—2 მანეთი 75 კაპ., 6 თვით—5 მან. 25 კაპ., 9 თვით—7 მან. 75 კაპ., ერთი წლით—10 მ.


ნ. ღ. ს. ც. ტირაჟი 1000 სამხედრო სტამბა კეცხოველის ქ. 3. პასუხისმგებელი რედაქტორი—ლ. ჩანტლაძე·